



**საარჩევნო სიახლენი**  
(21 მარტი - 13 აპრილი)

2008 წლის 5 იანვარს გამართულ პლემბისციტზე, საქართველოს ამომრჩეველთა 79,174%-მა<sup>1</sup> მხარი დაუჭირა საპარლამენტო არჩევნების 2008 წლის გაზაფხულზე ჩატარებას. პლემბისციტის შედეგებზე დაყრდნობით, 2008 წლის 21 მაისს დაინიშნა საქართველოს საპარლამენტო არჩევნები.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (შემდეგში „სამართლიანი არჩევნები“) იმთავითვე გამოხატა მზადყოფნა საპარლამენტო არჩევნების დაკვირვებასთან დაკავშირებით და ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლების მეშვეობით აქტიურად დაიწყო წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი. ორგანიზაცია ახორციელებს მონიტორინგს როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის საქმიანობაზე, ასევე პოლიტიკური პარტიების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაზე საქართველოს მასშტაბით.

**საარჩევნო კანონმდებლობა**

არჩევნების დაინიშნვამდე, კერძოდ 2008 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარეობდა საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, რის შემდეგაც 2008 წლის 21 მარტს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი საქართველოს ორგანულ კანონში - „საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის“ შესახებ. გამოყოფთ საკანონმდებლო ცვლილების ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს:

- საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა გაიზარდა 5-დან 13-წევრამდე, რომელთა დაინიშნვაც ხდება ცენტრალური და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესით;<sup>2</sup>
- საკანონმდებლო ცვლილებებით გაიზარდა მოქალაქეთა მიერ ამომრჩეველთა სიაში საკუთარი თავის გადამონიშნვის ვადა და იგი განისაზღვრა 14 დღით;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ადმინისტრაციული აქტების, მათ შორის შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების ვადა განისაზღვრა ერთი დღით;
- გასაჩივრების დროს საარჩევნო ადმინისტრაციას კანონით დაევალა საჩივარში არსებული ხარვეზის დადგენა და გამოსწორება;
- კანონმდებლობით განისაზღვრა ვიდეთვალის მოთხოვნის ზუსტი პროცედურა; პროცედურის შესაბამისად შესაძლებელი გახდა ჩანაწერიდან მხოლოდ 15 წუთიანი მონაკვეთის ნახვა;
- შეიცვალა შემაჯამებელი ოქმის ფორმა, კერძოდ: შემაჯამებელი ოქმი განთავსდება მხოლოდ ერთ გვერდზე; დაემატა მიმავრებული სპეციალური უბნის ნომერი; ამოღებულ იქნა სიის დანართში არსებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა; არჩევნებზე მისულ ამომრჩეველთა და ნამდვილი ბიულეტენების საერთო რაოდენობა. ამასთან, დაემატა მიმავრებული სპეციალური უბნის ნომერი;
- შეიცვალა და გამარტივდა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციათა აკრედიტაციის პროცედურა, კერძოდ საკანონმდებლო ცვლილებებით ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების აკრედიტაციის პროცედურა საერთაშორისო ორგანიზაციების აკრედიტაციის პროცედურას გაუტოლდა.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შემუშავების დროს „სამართლიანი არჩევნები“ სხვა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობდა

<sup>1</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით.

<sup>2</sup> ყველა დონის საარჩევნო კომისია კომპლექტდება ექვსი დამოუკიდებელი და შვიდი პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნული წევრებით



## სამართლიანი არჩევნები

შეხვედრებში პარლამენტის წარმომადგენლებთან და მუდმივად წარადგენდა ორგანიზაციის რეკომენდაციებს ამა თუ იმ საკითხზე.

### საარჩევნო სუბიექტებისა და დამკვირვებელთა რეგისტრაცია

#### პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია

2008 წლის 21 მარტის, საქართველოს პრეზიდენტის # 196 განკარგულების საფუძველზე 2008 წლის 21 მაისს დაინიშნა საქართველოს საპარლამენტო არჩევნები. არჩევნების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 56-ე დღისა, კერძოდ 26 მარტს<sup>3</sup>, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაასრულა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პოლიტიკურ პარტიათა განაცხადების მიღება. განაცხადი შეიტანა სულ 60 პოლიტიკურმა პარტიამ, რომელთაგან იმ პარტიებს, რომლებსაც არ ჰყავდათ წარმომადგენლები პარლამენტში მიეცათ 6 დღიანი ვადა, სულ ცოტა 30 000 მხარდამჭერთა სიების შესაგროვებლად. შესაბამისად 1 აპრილს, არჩევნებამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა<sup>4</sup>, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით დარეგისტრირდა 60-დან მხოლოდ 23 პარტია. დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს უარი ეთქვათ განაცხადში ხარვეზების არსებობისა და მხარდამჭერთა სიების არ ან არასრულად წარდგენის გამო.

არჩევნებამდე არაუგვიანეს 43-ე დღისა, კერძოდ 8 აპრილამდე<sup>5</sup> პოლიტიკურმა პარტიებმა მიმართეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანების მიზნით. შედეგად, დღეისათვის დარეგისტრირებულია სულ 9 პოლიტიკური პარტია და 3 საარჩევნო ბლოკი.

პოლიტიკური პარტიები:

1. სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული ნაციონალური პარტია;
2. საქართველოს პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“;
3. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“;
4. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“;
5. პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენტა კავშირი“;
6. პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
7. საქართველოს ლეიბორისტული პარტია;
8. საქართველოს რესპუბლიკური პარტია;
9. პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი (ქდა)“;

საარჩევნო ბლოკები:

1. „გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)“;
2. „ტრადიციონალისტები - ჩვენი ქვეყანა და ქალთა პარტია“;
3. „მემარჯვენე ალიანსი თოფაძე - მრეწველები“.

რაც შეეხება პარტიული სიისა და საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის ვადას, ამისათვის პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს დრო აქვთ 21 აპრილამდე, არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა<sup>6</sup>.

<sup>3</sup> საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი (შემდგომში საარჩევნო კოდექსი), მუხლი 129<sup>ბ</sup>, პუნქტი 2;

<sup>4</sup> საარჩევნო კოდექსი, მუხლი 129<sup>ბ</sup>, პუნქტი 3;

<sup>5</sup> საარჩევნო კოდექსი, მუხლი 95, პუნქტი 12.

<sup>6</sup> საარჩევნო კოდექსი, მუხლი 96, პუნქტი 9 და მუხლი 97, პუნქტი 3.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი  
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge  
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაცია

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით, 19 აპრილის მონაცემებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა და დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა ორ საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას - „უთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია“ (OSCE/ODIHR) და ფონდი „უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი“.

ამასთან, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დამკვირვებლად დაარეგისტრირა 10 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია:

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - GYLA;
2. კავშირი „ვეფხინი“;
3. კავშირი „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ – ISFED;
4. რეგისტრირებული კავშირი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“;
5. რეგისტრირებული კავშირი „დემოკრატიის ცენტრი“;
6. კავშირი „რაციო ლევის“;
7. კავშირი „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“;
8. ახალგაზრდული კავშირი „ინიციატივა“;
9. „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი“;
10. ადამიანის უფლებათა დაცვისა და დამხმარების საერთაშორისო კავშირი „ნდობა“;
11. „გაერთიანებული ინვალიდები დემოკრატიისათვის“.

საარჩევნო ადმინისტრაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სამართლიანმა არჩევნებმა“ დაიწყო წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი, რომელიც მოიცავს: საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის საქმიანობის მონიტორინგს, ადმინისტრაციის საქმიანობის შესაბამისობას კანონთან, ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დაკომპლექტებასა და საქმიანობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების წევრთა დაკომპლექტებას, უბნების საზღვრების დადგენის პროცესს.

ამ ეტაპზე საარჩევნო ადმინისტრაციაში მიმდინარეობს ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგები. ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის ტრენინგების სერიებს ატარებს ცესკო/UNDP/IFES ტრენინგთა ჯგუფი. ტრენინგები ტარდება ბაკურიანში, რომლის სქემაც შემდეგნაირია: ცესკო/UNDP/IFES ტრენინგთა ჯგუფი ტრენინგებს უტარებს 24 რეგიონალურ კოორდინატორსა და 131 ტრენინგს, რომლებიც შემდეგ 2 დონიან ტრენინგებს ჩაუტარებენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს. ამასთანავე, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებს ჩაუტარდებათ სპეციალური 2 დღიანი ტრენინგები უშუალოდ ცესკო/UNDP/IFES ტრენინგთა ჯგუფის მიერ. იგივე ტრენინგთა ჯგუფი ცალკე ტრენინგებს ჩაუტარებენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. დაგეგმილია ტრენინგების განმეორებით ჩატარება არჩევნებამდე 3-4 დღით ადრე. გარდა ამისა ტრენინგები ჩაუტარდებათ ცესკო-ს აპარატის წევრებს. აღნიშნული ტრენინგების შესახებ „სამართლიანი არჩევნები“ საზოგადოებას დაწვრილებით ინფორმაციას მიანვდის მოგვიანებით, ორგანიზაციის წინასაარჩევნო შემაჯამებელი ანგარიშის მეშვეობით.

1 აპრილს ყველა საარჩევნო ოლქმა გამოაცხადა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი. შესაბამისად, კანონით დადგენილ ვადაში, არჩევნებამდე არაუადრეს 50-ე დღისა, 5



## სამართლიანი არჩევნები

აპრილს<sup>7</sup> მოხდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევა თითქმის ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში, გარდა # 35 ხაშურის, # 30 კასპისა და # 65 მარტვილის საარჩევნო ოლქების რიგი უბნებისა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით, საარჩევნო უბნის კომისიის წევრთა დაკომპლექტება ხდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის (# 62 ჩოხატაური საარჩევნო ოლქი), ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (# 79 ბათუმი, # 60 ოზურგეთი, # 61 ლანჩხუთის, # 70 ფოთის, # 11 საგარეჯოს, # 12 გურჯაანისა და # 13 სიღნაღის საარჩევნო ოლქები) და სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მითითებებითა და რეკომენდაციებით. ხშირად კონკურსს ჰქონდა ფორმალური მხარე და კომისიის წევრებად ირჩევდნენ წინასწარ განსაზღვრულ პირებს, მიუხედავად იმისა ქონდათ მათ სათანადო გამოცდილება თუ არა. რიგ შემთხვევებში არჩეულ იქნენ საარჩევნო ადმინისტრაციის ძველი წევრები (2008წ. 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები) და კომისიაში ვერ მოხვდნენ ახალი სერთიფიცირება გავლილი კადრები (# 64 სენაკის საარჩევნო ოლქი).

მიუხედავად იმისა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს სხდომები, ხშირ შემთხვევაში სხდომები არ ტარდება რიგ საარჩევნო ოლქებში. 24-30 მარტის განმავლობაში სხდომები არ ჩატარდა # 44 ამბროლაურის, # 46 ლენტეხის, # 63 აბაშის, # 64 სენაკის, # 29 ყაზბეგის, # 28 ღუშეთის, # 66 ხობისა და # 56 ჭიათურის საარჩევნო ოლქებში. 7-13 აპრილის განმავლობაში სხდომები არ ჩატარდა # 13 სიღნაღის, # 1 მთაწმინდის, # 4 კრწანისის, # 5 ისნის, # 6 სამგორის, # 7 ჩუღურეთის, # 10 გლდანის, # 19 თიანეთის, # 20 რუსთავის, # 21 გარდაბნის, # 26 თეთრიწყაროს, # 28 ღუშეთის, # 30 კასპის, # 32 გორის, # 37 ახალციხისა და # 38 ადიგენის საოლქო საარჩევნო კომისიებში.

რაც შეეხება სხდომებზე დასწრებას, ზოგიერთ შემთხვევაში საარჩევნო ოლქებში სხდომებს არ ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა. (მაგ.: # 85 ლიახვის, # 25 წალკის საარჩევნო ოლქები). ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რიგ საარჩევნო ოლქებში გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა ერთპიროვნულად (# 64 სენაკის საარჩევნო ოლქი) ან მხოლოდ კომისიის რამოდენიმე წევრის მიერ.

საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის მიხედვით, არჩევნებამდე არაუგვიანეს 45-ე დღისა, კერძოდ 6 აპრილს<sup>8</sup>, საარჩევნო ოლქებს პრესითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უნდა გამოექვეყნებინათ საარჩევნო უბნების ნომრები, მისამართები, ტელეფონის (ფაქსის) ნომრები და სხვა რეკვიზიტები. აღნიშნული რეკვიზიტები დროულად არ გამოქვეყნდა # 79 ბათუმის, # 83 ხელვაჩაურის, # 81 ქობულეთის, # 60 ოზურგეთის, # 62 ჩოხატაურის, # 61 ლანჩხუთის, # 46 ლენტეხის, # 56 ჭიათურის, # 52 ბაღდათის, # 65 მარტვილის, # 66 ხობისა და # 35 ხაშურის საარჩევნო ოლქებში.

კანონით დადგენილ ვადაში, კერძოდ 10 აპრილს, არჩევნებამდე არაუგვიანეს 41-ე დღისა<sup>9</sup>, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო ოლქსა და მის ყოველ საარჩევნო უბანში არ გამოექვეყნა შემდეგ საარჩევნო ოლქებში: # 79 ბათუმის, # 84 ხელოს, # 82 შუახევისა და # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქებში. # 15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში მონაცემები გამოექვეყნა მხოლოდ საარჩევნო ოლქში და არა მის საარჩევნო უბნებში.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით, ზოგიერთი საოლქო კომისიის წევრი კომისიის წევრობასთან ერთად დაკავებულია საჯარო სამსახურში. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, კომისიის წევრებს არა აქვთ უფლება იმავდროულად იყვნენ სხვა საქმიანობით დაკავებული, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა<sup>10</sup>. ასეთი ოლქებია: # 15

<sup>7</sup> საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი 1.

<sup>8</sup> საარჩევნო კოდექსი, მუხლი 16, პუნქტი 7;

<sup>9</sup> საარჩევნო კოდექსი, მუხლი 9<sup>1</sup>, პუნქტი 2;

<sup>10</sup> საარჩევნო კოდექსი, მუხლი 18, პუნქტი 5, 5<sup>1</sup>, 6;

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი  
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge  
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



## სამართლიანი არჩევნები

ლაგოდების, # 16 ყვარლის, # 17 თელავის, # 43 ონის, # 69 ჩხორონწყის, # 56 ჭიათურის, # 57 ტყიბულის, # 47 მესტიის, # 68 წალენჯიხის, # 82 შუაქვეის, # 83 ხელვაჩაურის, # 60 ოზურგეთის, # 70 ფოთის, # 32 გორის, # 36 ბორჯომის, # 38 ადიგენის, # 85 ლიახვის, # 3 საბურთალოს, # 19 თიანეთის, # 21 გარდაბნის, # 25 წალკის, # 26 თეთრიწყაროს, # 28 ღუშეთისა და # 29 ყაზბეგის საარჩევნო ოლქებში.

ორგანიზაციის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა გადაამოწმეს საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქისა და ცესკო-ს ვებ-გვერდის მონაცემები<sup>11</sup>, რომელზე დაყრდნობითაც ირკვევა, რომ საარჩევნო ოლქებში გამოქვეყნებული მონაცემები უმეტეს შემთხვევებში არ ემთხვევა ცესკო-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ მონაცემებს. ამასთან დაფიქსირდა სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზები ამომრჩეველთა სიებში. „სამართლიანი არჩევნები“ ამ საკითხთან დაკავშირებით ახლო მომავალში გეგმავს სპეციალური განცხადების გავრცელებას. დღეისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაა 3 458 020.

### წინასაარჩევნო კამპანია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლები აკვირდებიან საარჩევნო სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები/მაჟორიტარი კანდიდატები) მიერ წარმოებულ წინასაარჩევნო კამპანიას.

მონიტორინგის შედეგებით ირკვევა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში ყველაზე აქტიურად ჩართულები არიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. აქტივობით მომდევნო ადგილს იკავებს ქრისტიან-დემოკრატიული პარტია. ჯერჯერობით კამპანია მშვიდ გარემოში მიმდინარეობს, თუმცა უკვე შეინიშნება პარტიების შეზღუდვისა და ამომრჩეველზე ზეწოლის ფაქტები.

წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას შეზღუდვის ფაქტი დაფიქსირდა **# 63 აბაშის** საარჩევნო ოლქში, როდესაც სოფელ ქოლობანში 31 მარტს გოჩა ფიფიასთან შესახვედრად გამოსულ ამომრჩევლებს სოფლის რწმუნებულმა დაშლისაკენ მოუწოდა. ხოლო დარბაზის გამოყოფისთვის გაფრთხილება მისცა სოფლის კლუბის თავმჯდომარეს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატ გოჩა ფიფიას შეხვედრა ამომრჩევლებთან მაინც გაიმართა.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაფიქსირდა ასევე შემთხვევები, როდესაც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს შეექმნათ პრობლემა ოფისების ქირაუნობასთან დაკავშირებით. მაგალითად, **# 84 ხულოს** საარჩევნო ოლქში პრობლემები შეექმნა ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას, სადაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორმა სოფელ ვაშლოვანში ფართის მეპატრონეს უბრძანა ქრისტიან-დემოკრატებისთვის არ მიექირაებინა ოფისი და მოსთხოვა ეს საკითხი შეეთანხმებინა აღნიშნული რაიონის გამგებელთან. მიუხედავად ამისა, ქრისტიან-დემოკრატებმა იქირავეს აღნიშნული ფართი, თუმცა მოგვიანებით ისინი მაინც გადავიდნენ სხვა შენობაში.

**# 60 ოზურგეთის** საარჩევნო ოლქში პედაგოგებს აევრძალათ ურთიერთობა ოპოზიციურ პარტიებთან და ასევე მუშაობა საარჩევნო კომისიებში. **# 62 ჩოხატაურის** საარჩევნო ოლქში გამგებელმა დაიბარა სკოლის დირექტორები და მოსთხოვა მათ ოპოზიციონერ პედაგოგთა სიის მიწოდება.

**# 64 სენაკის** საარჩევნო ოლქში, სანავის დარბაზისას (გამსახურდიას ქუჩაზე) მოქალაქეებს მოუწოდებდნენ მხარი დაეჭირათ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარ კანდიდატ გურამ მესაბიშვილისთვის. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა **# 45 ცაგერის** საარჩევნო ოლქში, სადაც სანავისა და

<sup>11</sup> [www.cec.gov.ge](http://www.cec.gov.ge)

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი  
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)



## სამართლიანი არჩევნები

ვაუჩერების დარიგების დროს ადგილი ჰქონდა ავითაცუას, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატ ვალერ გიორგობიანის სასარგებლოდ.

მოსყიდვის ფაქტი დაფიქსირდა **# 32 გორის** საარჩევნო ოლქში, სადაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატი გიგა ტატიშვილი გორის რაიონის სოფლის (სოფლები: **კარალეთი, ქვახვრელი, ნიქოზი**) სკოლის პედაგოგებს დაჰპირდა სკოლის გარემონტებას იმ შემთხვევაში, თუ ის მიიღებდა ბევრ ხმას აღნიშნული სოფლებიდან.

დაფიქსირდა დამკვირვებელზე ზენოლის ფაქტი. კერძოდ, **# 60 ოზურგეთის** საარჩევნო ოლქში „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელი გააფრთხილეს, რომ თუ იგი ხელს შეუშლიდა საარჩევნო ოლქის მუშაობას, კომისია განკარგულებით მიიღებდა გადაწყვეტილებას და დამკვირვებლის უფლებამოსილების გადაჭარბების საფუძველზე სასამართლოში უჩივლებდა.

წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი ხორციელდება ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება განაგრძობს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს, რომლის შედეგებს პერიოდულად გააცნობს საზოგადოებას.



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი  
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)